**КОМИССИЯ ПРОПАГАНДЫ ФЕДЕРАЦИИ ФУТБОЛА ГРУЗИИ**

**ТБИЛИССКИЙ СТАДИОН «ДИНАМО» ИМЕНИ В. И. ЛЕНИНА**

Составитель О. НОЗАДЗЕ

Художник К. САДЗАГЛИШВИЛИ. Техредактор В. ДОХНАДЗЕ
Выпускающий А .САМХАРАДЗЕ

**№ 17 (70)**

**Цена 27 коп.**

Заказ 1381 Тираж 27.00 УЭ 07413

Типография издательства ЦК КП Грузии, ул. Ленина, 14.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

# ევროპის ჩემპიონთა თასზე

3. X. 79

დასაწყისი 19 საათზე




# „დინამო“

(თბილისი, სსრ კავშირი)

«ДИНАМО» (ТБИЛИСИ, СССР)

DINAMO (TBILISI, USSR)

# „ლივერპული“

(ლივერპული, ინგლისი)

«ЛИВЕРПУЛЬ» (ЛИВЕРПУЛЬ, АНГЛИЯ)

LIVERPOOL (LIVERPOOL, ENGLAND)



*WELLCOME TO THE FOOTBALLERS OF LIVERPOOL!*

Since July 10 when the lot fell upon the «Dinamo» footballers in UEFA in Zurich, and when «Liverpool» dechared the Georgian footballers their rival, aur football-fans are eagering to watch the game of one of the best football-club of Great Britain and Europe.

Georgian spectators are as fanatic as of Liverpool, and the stadium of Tbilisi (which encludes 80.000 people) will be overcrowded as always.

We suppose tonight both Georgian and English footballers will show us a fine football spectacle.




## სალამი ლივერპულელ ფეხბურთელებს!

მას შემდეგ, რაც 10 ივლისს ციურიხში უეფა-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ევროპული საკლუბო ტურნირების წილისყრა, რომელმაც თბილისის „დინამოს" მეტოქედ „ლივერპულის" კლუბი დაასახელა, ჩვენს ფეხბურთის მოყვარულებს პირდაპირ მოსვენება არა აქვთ. ყველას სურს საკუთარი თვალით იხილოს ინგლისის ჩემპიონი — ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, უშუალო მოწმე გახდეს მოსალოდნელი საინტერესო ორთაბრძოლისა. ვიცით, რომ ფეხბურთი თქვენს ლივერპულში ისევე პოპულარულია, როგორც ჩვენთან, თბილისში, სადაც მაყურებელი თავგამოდებით ქომაგობს თავის საყვარელ „დინამოს". ამაში თვითონვე დარწმუნდებით თბილისის სტადიონზე ყოფნისას.

გვჯერა ,რომ ჩვენი სტადიონის ტრიბუნებზე შეკრებილი 80 ათასი მაყურებელი, და ვინ მოთვლის რამდენი ტელემაყურებელი, ისევე როგორც 19 სექტემბერს ლივერპულში, „ენფილდ-როუდის" სტადიონზე, საინტერესო, დაძაბულ ორთაბრძოლას იხილავს დღევანდელ საღამოს. როგორც იტყვიან, ჰა ბურთი და მოედანი!

КЛИСФ. "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

# ОБЛАДАТЕЛИ КУБКА ЕВРОПЕЙСКИХ ЧЕМПИОНОВ

1. 1955—1956 гг — «Реал» (Мадрид, Испания).
2. 1956—1957 гг. — «Реал» (Мадрид, Испания).
3. 1957—1958 гг. — «Реал» (Мадрид, Испания).
4. 1958—1959 гг. — «Реал» (Мадрид, Испания).
5. 1959—1960 гг. — «Реал» (Мадрид, Испания).
6. 1960—1961 гг. — «Бенфика» (Лиссабон, Португалия)
7. 1961—1962 гг. — «Бенфика» (Лиссабон, Португалия)
8. 1962—1963 гг. — «Милан» (Милан, Италия)
9. 1963—1964 гг. — «Милан» (Милан, Италия)
10. 1964—1965 гг. — «Интернационале» (Милан, Италия)
11. 1965—1966 гг. — «Реал» (Мадрид, Испания)
12. 1966—1967 гг. — «Селтик» (Глазго, Шотландия)
13. 1967—1968 гг. — «Манчестер Юнайтед» (Манчестер, Англия)
14. 1968—1969 гг. — «Милан» (Милан, Италия)
15. 1969—1970 гг. — «Фейноорд» (Роттердам, Голландия)
16. 1970—1971 гг. — «Аякс» (Амстердам, Голландия)
17. 1971—1972 гг. — «Аякс» (Амстердам, Голландия)
18. 1972—1973 гг. — «Аякс» (Амстердам, Голландия)
19. 1973—1974 гг. — «Байерн» (Мюнхен, ФРГ)
20. 1974—1975 гг. — «Байерн» (Мюнхен, ФРГ)
21. 1975—1976 гг. — «Байерн» (Мюнхен, ФРГ)
22. 1976—1977 гг. — «Ливерпуль» (Ливерпуль, Англия)
23. 1977—1978 гг. — «Ливерпуль» (Ливерпуль, Англия)
24. 1978—1979 гг. — «Ноттингем Форест» (Ноттингем, Англия)
25. 1979—1980 гг. —

КЛИСФ: «НАШИ В ЕВРОКУБКАХ»

# დღეს...

UEFA

სამი საბჭოთა გუნდი გამართავს ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი წრის განმეორებით მატჩებს:

**ჩემპიონთა თასზე**

„დინამო" (თბილისი) — „ლივერპული" (ინგლისი).
(პირველი მატჩი დამთავრდა 1:2).

**უეფა-ს თასზე**

ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე" (ბულგარეთი) — „დინამო" (კიევი)
(პირველი მატჩი — 1:2).
„მონაკო" (საფრანგეთი) — „შახტიორი" (დონეცკი)
(პირველი მატჩი — 1:2).

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „დინამოს" მეტოქემ ალბანეთის „ვლაზნიამ" (შკოდერი) უარი თქვა ტურნირში მონაწილეობაზე. ამრიგად, მოსკოვის „დინამო" გათამაშების მერვედფინალში გავიდა.




შეტევაზე „ლივერპული".

# КОРОТКО О РОЗЫГРЫШЕ

**КУБОК ЕВРОПЕЙСКИХ ЧЕМПИОНОВ** — розыгрыш континентального приза для клубных футбольных команд учрежден в 1955 году по инициативе французской спортивной газеты «Экип» и известного спортивного журналиста Габриэля Ано.

Этот популярный турнир проводится по олимпийской системе. Состав пар на всех этапах (начинается с $^1/_{16}$ финала) определяется жребием. Каждая встреча состоит из 2 матчей (традиционно они проводится по средам) — на своем и чужом поле. Розыгрыш КЕЧ начинается в августе и заканчивается в мае—июне следующего года.

Кубок представляет серебряную вазу-амфору с ручками высотой в 80 см. Он хранится в штаб-квартире УЕФА, а победителю вручается дубликат. Одновременно его футболисты получают миниатюрные модели кубка и памятные медали.



# თასისათვის 25-ედ

„ლივერპული" (ინგლისი) — „დინამო" (თბილისი) — 2:1.
„არჯეში" (პიტეშტი, რუმინეთი) — აეკ (საბერძნეთი) — 3:0.
„ლევსკი — სპარტაკი" (ბულგარეთი) — „რეალი "(მადრიდი) — 0:1.
„ვალიური" (ისლანდია) — „ჰამბურგი" (გფრ) — 0:3.
„სერვეტი" (შვეიცარია) — „ბევერენი" (ბელგია) — 3:1.
„ვეილე" (დანია) — „აუსტრია" (ავსტრია) — 3:2.
„ნოტინგემ ფორესტი" (ინგლისი) — „ესტერი" (შვეცია) — 2:0.
„პორტო" (პორტუგალია) — „მილანი" (იტალია) — 0:0.
„რედ ბოიზი" (ლუქსემბურგი) — „ომონია" (კიპროსი) — 2:1.
„ჰაიდუკი" (იუგოსლავია) — „ტრაბზონსპორი" (თურქეთი) — 1:0.
„დანდოლკი" (ირლანდია) — „ჰიბერნიანსი" (მალტა) — 2:0.
„სტარტი" (ნორვეგია) — „სტრასბურგი" (საფრანგეთი) — 1:2.
„პარტიზანი" (ალბანეთი) — „სელტიკი" (შოტლანდია) — 1:0.
„ჰელსინგის იალკაპალოკლუბი" (ფინეთი) — „აიაქსი" (ჰოლანდია) — 1:8.
„უიპეშტ დოჟა" (უნგრეთი) — „დუკლა" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — 3:2.
„დინამო" (ბერლინი, გდრ) — „რუხი" (ხოჟუვი, პოლონეთი) — 4:1.

ДИНАМО
ТБИЛИСИ

**Чемпион СССР — 1964 и 1978 гг.**
**Обладатель Кубка СССР — 1976 и 1979 гг.**
**Серебряный призер чемпионатов страны — 5 раз.**
**Бронзовый призер чемпионатов страны — 12 раз.**
**В Кубке УЕФА: 1972-73 гг. (1/32 финала), 1973-74 гг. (1/8 финала), 1977-78 гг. (1/8 финала), 1978-79 гг. (1/16 финала).**
**В Кубке обладателей: 1976-77 гг (1/8 финала).**
**В Кубке чемпионов: 1979-80 гг. (?).**




«DINAMO» TBILISI

1964 and 1978 seasons Champions of the USSR.

1976 and 1979 seasons owner of the USSR Cup.

Five-fold silver prize-winner of the USSR championship.

Bronze prize-winner of 12 times.

They played in the UEFA Cup in seasons 1972–73 (1/32 final); 1973–74 and 1977–78 (1/8), 1978–79 (1/16 f.), while in seasons 1976–77 they were in the European Cup-winners Cup (1/8 f.).

The Georgian footbalters played 23 games in the European Cups: 11 wins, 3 – in draw, 9 – loss, difference of goals: 34–31 (Kipiani is a bombardier, he drove in 7 goals).

"НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

# 19 სექტემბერი, ლივერპული...

**ლივერპულის** „ენფილდ როუდის" სტადიონზე შეკრებილ 35 ათას მაყურებელთაგან, ალბათ, ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი მასპინძელთა იოლ გამარჯვებაში.

მაგრამ...

„ლივერპულმა" მოიგო 2:1. მას ბედმა გაუღიმა, პირიქით რომ არ მოხდა, და არ წააგო ანგარიშით 1:3. თბილისელებმა გამოამჟღავნეს იშვიათი ტექნიკა და თავისი ძალებისადმი დიდი რწმენა. „ლივერპულს" მათ უამრავი საზრუნავი გაუჩინეს".

ეს სიტყვები ამოღებულია ინგლისურ გაზეთ „დეილი ექსპრესიდან". თითქმის ასეთსავე ტონში წერდნენ სხვა გაზეთებიც — „გარდიანი", „დეილი მეილი" და სხვა. ინგლისელი ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დინამოელებმა მართლაც მაღალი კლასი აჩვენეს და მასპინძლებს თამაშის ტექნიკით სჯობდნენ კიდეც. ერთი სიტყვით, „ლივერპული" საპასუხო მატჩში ძნელი ამოცანის წინაშე დგასო!

ესპანელი მსაჯის ანხელ ფრანკო მარტინესის სასტვენზე მეტოქეები მოედანზე ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ:

„ლივერპული" — რეი კლემენსი, ფილ ნილი, ფილ ტომპსონი (გუნდის კაპიტანი), კოლინ ირვინი, ალან კენედი, ჯიმი კეისი, ტერი მაკდერმოტი, გრემ საუნესი, დევიდ ფეირკლაფი, კენი დალგლიში, დევიდ ჯონსონი. მეორე ტაიმში ფეირკლაფი შეცვალა სტივ ჰეივეიმ.

„დინამო" — ოთარ გაბელია, გოჩა მაჩაიძე, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი ჭილაია, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია.







პირველი ბურთი მასპინძლებმა გაიტანეს. 21-ე წუთზე მაკდერმოტმა მაღალი ბურთი ჩააწოდა დინამოელთა კართან და ჯონსონმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. 37-ე წუთზე ჩივაძის რეიდი დარასელიას დახმარებით თბილისელთა მცველის ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 1:1. 45-ე წუთზე კეისმა საჯარიმო დარტყმით გამარჯვება მოუტანა „ლივერპულს" — 2:1.

# СТАДИОН «ЭНФИЛД-РОУД»







ПРОГРАММА МАТЧА «ЛИВЕРПУЛЬ»—«ДИНАМО» (Тбилиси)

К ПЕРВОМУ матчу сегодняшних соперников ливерпульцы выпустили красочную печатную программу в 32 страницы (воспроизводим репродукции обложек и разворота). Она открывается статьей старшего тренера команды Боби Пейсли и главного мецената клуба Джона Смита, в которых выражается уверенность, что матч пройдет в интересной, корректной борьбе и зрители насладятся «большим футбольным спектаклем». Видное место занимает в программе обозрение «Звезды грузинского футбола», данные о прошлогоднем и нынешнем чемпионатах СССР, статистика о выступлениях тбилисского «Динамо» в розыгрышах кубков страны, европейских турнирах. Здесь же напечатан материал о «Ливерпуле», чемпионате Англии, командах — победителях Кубка европейских чемпионов. В издании нашлось место для конкурса болельщиков, спортивной лотереи, футбольного кроссворда. Не обошлось и без традиционной рекламы, восхваляющей новейшие марки автомашин, миниатюрные транзисторы, вкусовые качества местного пива и т. д.



| „ლივერპული" | «ЛИВЕРПУЛЬ» | «LIVERPOOL» |
|---|---|---|
| № კლემენსი | КЛЕМЕНС | CLEMENCE |
| № ოგრიზოვიჩი | ОГРИЗОВИЧ | OGRIZOVIC |
| № ნილი | НИЛ | NEAL |
| № ჰანსენი | ХАНСЕН | HANSEN |
| № ტომპსონი | ТОМПСОН | THOMPSON |
| № ა. კენედი | А. КЕННЕДИ | A. KENNEDY |
| № ირვინი | ИРВИН | IRWIN |
| № კეისი | КЕЙС | CASE |
| № რ. კენედი | Р. КЕННЕДИ | R. KENNEDY |
| № საუნესი | САУНЕСС | SOUNESS |
| № მაკდერმოტი | МАКДЕРМОТТ | McDERMOTT |
| № დალგლიში | ДАЛГЛИШ | DALGLISH |
| № ჯონსონი | ДЖОНСОН | JOHSON |
| № ფაერკლაფი | ФАЕРКЛАФ | FAIRCLOUGH |
| № მაკგარვეი | МАКГАРВЕЙ | McGARVEY |
| № ჰეივეი | ХЕЙВЕЙ | HEIGHWAY |
| № კოჰენი | КОХЕН | COHEN |
| № შეიდი | ШЕЙДИ | SHEEDY |
| უფროსი მწვრთნელი — **რობერტ (ბობი) პეისლი** | Старший тренер — **Роберт (Боб) Пейсли** | Manager – *Robert (Bob) Paisley* |
| გუნდის კაპიტანი — **ფილ ტომპსონი** | Капитан команды — **Фил Томпсон** | Captain – Phil Thompson |

| „დინამო" | «ДИНАМО» | «DINAMO» |
|---|---|---|
| № გაბელია | ГАБЕЛИЯ | GABELIYA |
| № გოგია | ГОГИЯ | GOGIYA |
| № გ. მაჩაიძე | Г. МАЧАИДЗЕ | G. MACHAIDZE |
| № ჩივაძე | ЧИВАДЗЕ | CHIVADZE |
| № ხინჩაგაშვილი | ХИНЧАГАШВИЛИ | KHINCHAGASHVILI |
| № ჩილაია | ЧИЛАЯ | CHILAIYA |
| № კანთელაძე | КАНТЕЛАДЗЕ | KANTELADZE |
| № მუჯირი | МУДЖИРИ | MUDJIRI |
| № სულაქველიძე | СУЛАКВЕЛИДЗЕ | SULAKVELIDZE |
| № დარასელია | ДАРАСЕЛИЯ | DARACELIYA |
| № კორიძე | КОРИДЗЕ | KORIDZE |
| № მ. მაჩაიძე | М. МАЧАИДЗЕ | M. MACHAIDZE |
| № კოპალეიშვილი | КОПАЛЕИШВИЛИ | KOPALEISHVILI |
| № მინაშვილი | МИНАШВИЛИ | MINASHVILI |
| № გუცაევი | ГУЦАЕВ | GUTSAEV |
| № კიპიანი | КИПИАНИ | KIPIANI |
| № შენგელია | ШЕНГЕЛИЯ | SHENGELIYA |
| № ჩელებაძე | ЧЕЛЕБАДЗЕ | CHELEBADZE |
| უფროსი მწვრთნელი — **ნოდარ ახალკაცი** | Старший тренер — **Нодар Ахалкаци** | Manager – *Nodar Akhalkatsi* |
| გუნდის კაპიტანი — **მანუჩარ მაჩაიძე** | Капитан команды — **Манучар Мачаидзе** | Captain – *Manuchar Machaidze* |

მსაჯთა ბრიგადა: ალტინგერი, იოფი, ულმი (ყველა — გფრ).
უეფა-ს წარმომადგენელი — მატჩის ინსპექტორი: ვან ნუფელი (ბელგია).

Судейская бригада: АЛЛТИНГЕР, ИООФ, УЛЬМ (все — ФРГ).
Представитель УЕФА — инспектор матча: ВАН НУФЕЛЬ (Бельгия).

REFEREES: ALLTINGER, JOOF, ULM (WEST GERMANY).
DELEGATE U.E.F.A: VAN UNFELL (BELGIUM).

# ი ნ გ ლ ი ს უ რ ი

**რარიგ** არ უნდა დაობდნენ დღეს სპეციალისტები, სად გაჩნდა პირველი ბურთი, ერთი რამ უდავოდ ცხადია — ფეხბურთი თანამედროვე გაგებით ინგლისში დაიბადა. მისი დაბადების თარიღად 1863 წლის 26 ოქტომბერი ითვლება, როდესაც ლონდონის ერთ-ერთ ნისლიან საღამოს გულშემატკივართა ერთი ჯგუფი შეიკრიბა ტავერნა „გრეიტ კუინსტრიტში", რათა თამაშის წესები შეემუშავებინა. ცხარე, საკმაოდ ხმაურიანი დებატების შემდეგ შემუშავებული იქნა ფეხის ბურთის 13 წესი, რომლებიც ძირითადად დღესაც ძალაშია. იმავე დღეს შეიქმნა მსოფლიოში ფეხბურთის პირველი ასოციაცია — ფუტბოლ ასოშიეშნ.

მართალია, ძველი ინგლისის მეფეები ერთ დროს კრძალავდნენ ფეხბურთის თამაშს, მაგრამ ტყავის ბურთი საკმაოდ „სიცოცხლისმოყვარული" გამოდგა და დღეს ინგლისის დედოფალი... უკვე თვითონ აჯილდოებს ფეხბურთელებს მსოფლიოს თასით.

ფეხბურთი ნელ-ნელა იხვეწებოდა. რვა თავდამსხმელის ნაცვლად დარჩა 5, მოგვიანებით შეიმუშავეს იმხანად მეტად პროგრესული სისტემა „დუბლ-ვე". იგი პირველად „არსენალის" მწვრთნელმა ჩეპმენმა გამოიყენა 1925 წელს. ბრიტანეთში პირველი საერთაშორისო მატჩი გაიმართა 1872 წლის 30 ნოემბერს ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებს შორის (0:0). ექვსი წლის შემდეგ გაჩნდა მსაჯის სასტვენი. 1891 წელს კი კარებზე ბადეები ჩამოკიდეს. ინგლისში გამოჩნდნენ პირველი პროფესიონალური გუნდები, იზრდებოდა მაყურებელთა რიცხვი. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა უნდა უმადლოდეს ინგლისელებს მათ მიწაზე ამ ყველაზე პოპულარული სპორტული თამაშის შემოტანას. საქართველოშიც ხომ ინგლისელმა მეზღვაურებმა შემოიტანეს პირველად ტყავის ბურთი, რომლისთვისაც ჩვენი ნიადაგი, როგორც ხედავთ, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა დღეს ჩვენ უკვე როგორც თანაბარნი ვეჯიბრებით საუკეთესო ინგლისურ საკლუბო გუნდებს.

ინგლისში საფეხბურთო სეზონი იწყება აგვისტოში და მთავრდება მომდევნო წლის მაისში. ქვეყნის პირველი ჩემპიონი იყო „პრესტონი" — 1888 წელს, ხოლო თასის პირველი მფლობელი — „უონდერერსი" (1872 წელი). ინგლისურმა ფეხბურთმა მრავალი ნიჭიერი მოთამაშე აღზარდა, რომელთა შორის არიან ტედ დრეიკი, ალექ ჯეიმსი, ტომი ლაუტონი, სტენლი მეტიუზი, ბილ რაიტი, ნეტენიელ ლოფტჰაუზი, ბობი ჩარლტონი, გორდონ ბენქსი, ტომი ფინეი, ჯიმი გრივსი, ბობი მური, როჯერ ჰანტი, კევინ კიგანი და სხვა.



ინგლისის ნაკრები — მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონი.

# «FOOTBALL»



ასე დაიწყო ფეხბურთი ძველ ლანკაშირის საგრაფოში, რომელშიც ლივერპული მდებარეობს (სტუდენტთა პაექრობა 1863 წელს).

ინგლისელები ტექნიკურ, ათლეტურ, რაციონალურ ფეხბურთს თამაშობენ, კარგად ფლობენ თავურ დარტყმებს, გრძელ გადაცემებს.

ვის არ გაუგონია ისეთი ცნობილი საფეხბურთო კლუბები, როგორებიც არიან „ტოტენჰემ ჰოტსპური", „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი", უელსელთა „კარდიფ სიტი", „ასტონ ვილა", „შეფილდ უენსდეი" (ხუთივე კლუბი ვიხილეთ თბილისში), „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" (თბილისის „დინამო" მას ინგლისში შეხვდა), „არსენალი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ჩელსი", „ლიდსი", „ვესტ ჰემი", „ნიუკასლი", „ნოტინჰემ ფორესტი", „იფსვიჩი" „დერბი ქაუნტი", „ევერტონი". ყოველივე მათგანს მრავალი გამარჯვება აქვს მოპოვებული ოფიციალურ საკლუბო შეხვედრებსა თუ ამხანაგურ მატჩებში. თითქოს საკვირველია, რომ მათგან განსხვავებით ინგლისის ნაკრები წარმატებით ვერ გამოდის დიდ სარბიელზე. იგი ერთხელ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1966 წელს) რამდენჯერმე კი საერთოდ ვერ მოხვდა ჩემპიონატების ფინალისტთა 16 გუნდს შორის ყოველივე ამის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კლუბები ძალზე ძუნწად უშვებენ ფეხბურთელებს ქვეყნის მთავარი გუნდის ღირსების დასაცავად. გარდა ამისა, ინგლისის კლუბებში ბევრია ბრიტანეთის სხვა ქვეყნების ფეხბურთელები (შოტლანდიელები, ირლანდიელები, უელსელები), რომლებიც, ცხადია, თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში გამოდიან.



**ინგლისი, 1945 წლის 13 ნოემბერი, მოსკოვის „დინამოსა" და „ჩელსის" მატჩი — 3:3. „ლონგ ლაიფ, რაშა"! — „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!" ლონდონელმა გულშემატკივრებმა „სტამფორდ ბრიჯის" სტადიონზე საბჭოთა დროშა ააფრიალეს.**

# ჩვენი სტუმარი

# «LIVERPOOL, LIVERPOOL,

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ საბჭოთა კლუბს არ შეხვედრია ევროპულ ტურნირებში ისეთი მრისხანე მეტოქე, როგორიც წილისყრამ თბილისის დინამოელებს არგუნა.

„ლივერპული“, სახელგანთქმული „ლივერპული“! ბრიტანული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი, ქვეყნის 11-გზის ჩემპიონი, ინგლისის თასის ორგზის მფლობელი. „ლივერპული“ ზედიზედ მე-16 მონაწილეობს ევროპის საკლუბო ტურნირებში — ორ-ორჯერ ფლობდა კონტინენტის ჩემპიონთა და უეფა-ს თასებს, ხოლო 1977 წელს ამ თვალსაჩინო გამარჯვებებს სუპერთასიც დაუმატა.

„ლივერპულის“ ფეხბურთის კლუბს ასი წლის ისტორია აქვს (იგი 1878 წელს შეიქმნა). მართალია ინგლისის ამ საპორტო ქალაქის (იგი მდებარეობს ლანკაშირის საგრაფოში, დაარსებულია XII საუკუნეში და მილიონამდე მაცხოვრებელს ითვლის) მთავარ გუნდად წლების მანძილზე დიდათ პოპულარული „ევერტონი“ ითვლებოდა ლეგენდარული დიქსი დინისა და ტომი ლაუტონის, ბილი რაიტისა და ალან ბოლის კლუბი. მაგრამ დაწყებული 60-იანი წლებიდან დიდება „ლივერპულის“ მხარეზე გადავიდა. „წითელ-თეთრებმა“ (ამ კლუბის ტრადიციული ფერებია) თაყვანისმცემელთა რაოდენობით მალე მარტო „ევერტონს“ კი არ გაუსწრეს, არამედ მგონი თვით... „ბიტლებსაც“. როგორც ცნობილია, ეს დიდათ განთქმული პოპ-ანსამბლიც ლივერპულში დაიბადა.

„ლივერპულის“ აღმავლობა დაიწყო მას შემდეგ, რაც გუნდში უფროს მწვრთნელად შოტლანდიელი ბილი შენკლი მოვიდა. იშვიათი ტემპერამენტითა და მომხიბვლელობით დაჯილდოებულმა ამ მართლაც ლეგენდარულმა სპეციალისტმა „ლივერპული“ ყველაზე შემტევ, ათლეტურ, გამძლე და თავდადებულ გუნდათ აქცია ინგლისის ფეხბურთში. როდესაც ბ. შენკლი 1974 წელს გამოეთხოვა საყვარელ კლუბს და „რეჟისორობა“ თავის თანაშემწეს ბობ პეისლის გადააბარა, ბევრს ეგონა, რომ „ლივერპულელთა გუნდი გათავდებოდა“, მაგრამ ასე როდი მოხდა. ახალმა მწვრთნელმა კიდევ უფრო დახვეწა ფეხბურთელთა სათამაშო სტილი, გამრავალფეროვანა ტაქტიკა და უფრო თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია. გუნდი თამაშობს თანამედროვე სქემით 4-4-2, ამასთან რამდენიმე წელიწადია პრაქტიკულად უცვლელი სტაბილური საბრძოლო შემადგენლობით გამოდის.

— ჩვენ ყველა შეხვედრაში ვიბრძვით მოგებისათვის, პირველიდან უკანასკნელ წუთებამდე, იქნება ეს პირველობის მატჩი, თასისა თუ ამხანაგური თამაში — ამბობს ბ. პეისლი — ამიტომაც დადის „ლივერპულის“ მატჩებზე დიდძალი მაყურებელი.

მართლაც და ლივერპულელ ფეხბურთელთა შეხვედრებს საშუალოდ ესწრება 50 ათასამდე გულშემატკივარი. „ლივერპულ, ლივერპულ, შენ მარტო არ იქნები!“ — საგანგებოდ დაწერილი სიმღერით — კლუბის თავისებური ჰიმნით ამხნევებენ თაყვანისმცემლები საყვარელ ფეხბურთელებს და არა მარტო „ენფილდ-როუდის“ სტადიონზე...

როდესაც „ლივერპულს“ მსოფლიოს ყველაზე დიდ გუნდებს ადარებენ, დავუშვათ „სანტოსს“, „რეალს“, „ბენფიკას“ ან „ბაიერნს“ აღნიშნავენ, რომ ინგლისის ფეხბურთის ლიდერს შემადგენლობაში არა ჰყავს ისეთი მოციმციმე ვარსკვლავები, როგორიცაა პელე, და



ბობ პეისლი



ტომპსონი



საუნესი



კლემენსი



ნილი



ა. კენედი



ჰანსენი



ქეისი



მაკდერმოტი

# LIVERPOOL!..»

სტეფანო, გერდ მიულერი, ან ბეკენბაუერი. ცხადია, ეს სწორია, მაგრამ სამაგიეროდ „ლივერპულში" არ არიან, ასე ვთქვათ, საშუალო კლასის ფეხბურთელები. ყველა, თერთმეტივე ვარსკვლავია — პატარა ვარსკვლავი, თუ გნებავთ „არამოკაშკაშე". ისინი ძირითადად ამავე კლუბში იზრდებიან — „სარეზერვო გუნდში", როგორც უწოდებს „ლივერპული" თავის ახალგაზრდულ შემადგენლობას. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ ახალგაზრდა ლივერპულელმა ფეხბურთელებმა ინგლისის ცენტრალური ლიგის ჩემპიონატში 11 წლის მანძილზე 9-ჯერ (!) მოიპოვეს პირველობა, ხოლო ორჯერ მეორე ადგილზე გავიდნენ.

„ლივერპულის" მთელ ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონ როჯერ ჰანტის შემდეგ უძლიერესი, უდავოდ ევროპის 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელი კევინ კიგანი იყო, მაგრამ იგი დასავლეთგერმანულ კლუბ „ჰამბურგერ შპორტფერაინს" მიჰყიდეს, მის მაგიერ კი კენ დალგლიში შეიძინეს, რომელიც გასულ სეზონში ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. გუნდის მთავარი ბომბარდირის დალგლიშის (იგი შოტლანდიის ნაკრებში თამაშობს) გარდა „ლივერპულში" პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ინგლისის ნაკრების მოთამაშეები — მეკარე რეი კლემენსი, მცველები ფილ ნილი, გუნდის კაპიტანი ფილ ტომპსონი, ნახევარმცველი ტერი მაკდერმოტი; შოტლანდიის ნაკრების წევრები — მცველი ალან ჰანსენი, ნახევარმცველი გრემ საუნესი, თავდამსხმელი დევიდ ჯონსონი; ირლანდიის ნაკრების მოთამაშე სტივ ჰეივეი.

— შარშან ევროპის ჩემპიონთა თასის პირველსავე რაუნდში დავმარცხდით ჩვენს „ნოტინჰემ ფორესტთან", რომელიც ახლა ლიდერობს ინგლისის ჩემპიონატს — განაცხადა ბობ პეისლიმ — შევეცდებით გამოვასწოროთ შეცდომები და ლამაზი ფეხბურთი ვუჩვენოთ თბილისელებს.


რ. კენედი


ჰეივეი


დალგლიში


ჯონსონი


ფაერკლაფი




# «ლივერპული» ციფრებში...

● ჩვენმა დღევანდელმა მეტოქემ ევროპის საკლუბო ტურნირებში სულ 100 შეხვედრა ჩაატარა (საიუბილეო იყო პირველი რაუნდის მატჩი თბილისის „დინამოსთან"): მოიგო 57, წააგო 24, ფრედ დაამთავრა 19, ბურთების სხვაობა 173-79.

● ევროპულ ტურნირებში ლივერპულელთაგან ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა როჯერ ჰანტმა (17). ამჟამინდელ მოთამაშეთაგან რეკორდსმენია კიგანი (12), შემდეგ მოდიან ჰეივეი (11), რ. კენედი (9), ნილი (7), ჯონსონი (5), ტომპსონი (4), მაკდერმოტი და დალგლიში (3-3), ჰანსენი (1).

● „ლივერპულმა" ევროპის ტურნირებში ყველაზე დიდი ანგარიშით (11:0) გაიმარჯვა 1973 წელს ნორვეგიის „სტრემგოდსეტთან", ხოლო ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო 1966 წელს „აიაქსთან" (1:5)

● ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში „ლივერპულს" თავისებური რეკორდი აქვს დამყარებული. იგი ქვეყნის 11-გზის ჩემპიონია, მან ყველაზე მეტი — 68 ქულა მოაგროვა ქვეყნის ჩემპიონატში (42 მატჩში) და მხოლოდ 16 ბურთი გაუშვა საკუთარ კარში. ეს რეკორდები გუნდმა გასულ სეზონში დაამყარა (მეტოქეთა კარში მან 85 ბურთი გაიტანა).

● სულ ორად-ორი გუნდია, რომლებსაც ევროპულ ტურნირებში უთამაშიათ „ლივერპულთანაც" და თბილისის „დინამოსთანაც". ესენია მილანის „ინტერნაციონალე" და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური". იტალიელებმა 1964-65 წ.წ. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დაამარცხეს „ლივერპული" (3:0, 1:3), ხოლო 1977-78 წწ უეფას-ს თასზე წააგეს თბილისის „დინამოსთან" (0:1, 0:0). „ტოტენჰემმა" კი 1973-74 წ.წ. უეფა-ს თასზე დაამარცხა „დინამო" (5:1, 1:1), სამაგიეროდ ამავე ტურნირში დამარცხდა „ლივერპულთან" (2:1, 0:1) — 1972-73 წ.წ.

სტატისტიკა მოამზადა ო. ხუბუტიამ.

# ТРИ ГРАНДА британского футбола



ЗА 100 с лишним лет существования английский футбол дал спортивному миру выдающихся мастеров кожаного мяча — Тэда Дрейка, Алека Джеймса, Томми Лаутона, Стэнли Мэтьюза, Бобби Чарльтона, Билла Райта, Томми Финнея, Джимми Гривса, Бобби Мура, Гордона Бенкса и др.

Здесь мы представляем трех футбольных грандов из перечисленных выше знаменитостей самой популярной спортивной игры.



**ТОММИ ЛАУТОН.** Родился в 1919 году. Центральный нападающий. С 1936 года 20 сезонов выступал за лучшие клубы страны — «Бернли», «Эвертон», «Челси», «Ноттс Каунти», «Беритфорд», «Арсенал», «Кеттеринг».

Лучший бомбардир чемпионатов 1938 и 1939 годов. За сборную провел 29 матчей и забил 23 гола. Владел точным и сильным ударом, молниеносным рывком, отлично играл головой.

**СТЭНЛИ МЭТЬЮЗ.** Родился в 1915 году. Правый крайний нападения. Установил рекорд долголетия — выступал в чемпионатах страны до 50 лет.

За 35 сезонов сыграл более 700 матчей. Выступал в «Сток сити» (17 лет), «Блэкпуле». В составе сборной сыграл 54 матча (пришел в нее 19-летним, ушел 42-летним). Лучший игрок Англии 1948 и 1963 гг. Первый обладатель приза «Золотой мяч» (1956 г.) Лучший футболист Европы. Единственный из футболистов был удостоен титула «Сэр». Владел уникальным каскадом финтов, высокой скоростью, точным пасом.



**БОББИ ЧАРЛЬТОН.** Родился в 1938 году. Выступал в нападении и полузащите. В чемпионатах страны с 1955 года провел свыше 500 матчей. За национальную сборную сыграл 106 матчей (1958-70 гг.) и забил 48 мячей. Чемпион мира 1966 года. В том же году признан лучшим футболистом Англии и Европы. Отлично играл в пасс, исключительно работоспособный и маневренный игрок, обладал отличным ударом, мастерски играл головой.

# მოგესალმებით თბილისში!



ლივერპულელი ფეხბურთის მოყვარულნი, ალბათ, დამეთანხმებიან თუ ვიტყვი, რომ 19 სექტემბერს ლივერპულის სტადიონზე მათ ლამაზი სპორტული სანახაობა იხილეს — ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთი. სამწუხაროდ, ჩვენს გულშემატკივრებს არ მიეცათ ამ მატჩის ტელერეპორტაჟის ხილვის საშუალება. მინდა ვიფიქრო, რომ ასეთ საინტერესო, კორექტულ ბრძოლაში ჩაივლის დღევანდელი მატჩიც. გულითადად მოგესალმებით, ლივერპულელო ფეხბურთელებო, ჩვენს ქალაქში, და, გათამაშების შემდეგ წრეში ღირსეული გავიდეთ!



დღეს ჩვენ კვლავ ვხვდებით ლივერპულელ ფეხბურთელებს — ტყავის ბურთის დიდ ოსტატებსა და რაინდებს. ორი კვირის წინ გამართულმა მატჩმა გამარჯვება თქვენ მოგიტანათ, თუმცა ამ შეხვედრით უკმაყოფილონი როდი ვართ — კარგი თამაში ვაჩვენეთ და სტუმრად „ძვირადღირებული" გოლიც გავიტანეთ. არ ვაპირებ დღევანდელი შედეგის წინასწარმეტყველებას, მაგრამ ჩვენი ბიჭების იმედი მაქვს. ამასთან დინამოელთა მხარეზე „საკუთარი კედლებია" — ქართველი გულშემატკივრები ხომ ისევე თავგამოდებით ქომაგობენ საყვარელ გუნდს, როგორც „ენფილდ როუდის" სტადიონის ტრიბუნები — „ლივერპულს".